განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

სადოქტორო პროგრამა მასობრივ კომუნიკაციაში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

2019 წლის 14 ნოემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

ნოემბერი, 2019 წელი

ინფორმაცია უსდ-ს შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს უნივერსიტეტი შპს
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის დასახელება	სადოქტორო პროგრამა მასობრივ კომუნიკაციაში
განათლების საფეხური	მერვე (უმაღლესი განათლების მესამე საფეხური) - სადოქტორო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია მისი კოდის მითითებით	მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი 0703
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფ. პეტერ ნეიენსი ამსტერდამის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფ. ხათუნა კაჭარავა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, საქართველო, ვანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქ-ნი ნანა ფირცხელანი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

აკრედიტაციის დასკვნის რეზიუმე

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

მასობრივ კომუნიკაციაში სადოქტორო პროგრამას საქართველოს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლა ახორციელებს. პროგრამის მიზნებია: მასობრივი კომუნიკაციის მაღალკვალიფიციური მკვლევრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ (1) თეორიებსა და ემპირიული ანალიზის საფუძველზე, ახალი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დამოუკიდებლად შექმნას, ასვე (2) ლექტორობას. საქართველოს უნივერსიტეტის მისიის თანახმად, პროგრამის მიზანია ქართველი ერისა და კაცობრიობის სასარგებლოდ, ლიბერალურ-ჰუმანისტური ღირებულებებისა და დემოკრატიული საზოგადოების პრინციპების ხელშეწყობა. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და აღწერს ცოდნას, ჩვევებს, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებიც უნდა ჰქონდეთ კურსდამთავრებულებს პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში ჩართულები იყვნენ პოტენციური დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

180 ECTS-იანი პროგრამა შედგება ორი ნაწილისაგან: (1) კურსები (60 ECTS) და (2) კვლევა (120 ECTS), რაც შეესაბამება ქართულ და ევროპულ სტანდარტებს. კურსების 45 ECTS მოიცავს სავალდებულო კურსებს - მასობრივი კომუნიკაციები, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევები, სამეცნიერო პუბლიკაციებისთვის აკადემიური წერა და თანამედროვე სწავლების / შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში, ხოლო 15 ECTS უნდა შეივსოს არჩევითი კურსებით შემდეგი ჩამონათვალიდან: პროფესორის ასისტენტობა, კვლევითი პროექტის მენეჯმენტი, ტექსტის რედაქტირება და თარგმნა, მეცნიერების ფილოსოფია, ელექტრონული სწავლების მენეჯმენტის სისტემები. პროგრამის ორწლიანი, კვლევის ნაწილი დეტალურად განიხილება სტუდენტისა და მისი სამეცნიერო მრჩეველთა საბჭოს მიერ, რომელიც შედგება სამი პროფესორისაგან, ერთი არის სტუდენტის ხელმძღვანელი, ხოლო დანარჩენი ორი - დოქტორანტის საკვლევი სფეროს ექსპერტები. კვლევისადმი მოთხოვნები გამჭვირვალეა: (სულ მცირე) ორი სამეცნიერო ნაშრომი, ერთ კონფერენციაში მონაწილეობა, ერთი დისერტაცია, წინასწარი დაცვა და საჯარო დაცვა. მასობრივი კომუნიკაციების პროგრამის კურიკულუმში ჩართულ თითოეულ კომპონენტს აქვს შესაბამისი სილაბუსი, რომელიც ასახავს კომპონენტზე დაშვების წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), კომპონენტის მიზნებს, შინაარსს, მეთოდებს, სასწავლო მასალას (ლიტერატურას), შეფასების ფორმასა და კრიტერიუმებს. კვლევის მოდულის „სადოქტორო დისერტაციის“ მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები მოცემულია დოქტორანტურის დებულებაში და სამეცნიერო მრჩეველთა საბჭოს წესებში. პროგრამის შინაარსის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შემუშავდა სწავლის შედეგების რუკა, რომელიც მოიცავს სწავლის შედეგებსაც.

სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არის გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომი. მაგისტრის ხარისხის ან ექვივალენტური აკადემიური კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტები, ინგლისური ენის სოლიდური ცოდნით დაიშვებიან სადოქტორო პროგრამაზე მასობრივ კომუნიკაციაში. B2 დონეზე ინგლისური ენის ცოდის დადასტურება სავალდებულოა. სკოლის საბჭო, ასევე, აფასებს სტუდენტის საკვლევ თემას შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: მნიშვნელოვნბა, რეკომენდაციები და სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელოვნება.

პროგრამა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტმა შეიძინოს ოთხი ტიპის უნარი: რაოდენობრივი ან / და თვისებრივი კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი; არსებული ცოდნის ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი; პროფესიულ საზოგადოებასთან წერილობითი კომუნიკაციის უნარი; ლექციების დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი. ამ უნარების შეძენა ხდება საკურსო სამუშაოს, კვლევების ჩატარების, კონფერენციებში მონაწილეობის, ნაშრომების პუბლიკაციისა და დისერტაციის დაცვის საშუალებით. სტუდენტებს, ასევე, უწევთ დისერტაციის, როგორც წინასწარ, ასევე საჯაროდ დაცვა. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს აირჩიოს პრაქტიკა, პროფესორის ასისტენტენტობის ფორმით.

კურსების მეთოდები მოიცავს ლექტორების მიერ სწავლების პროცესს, დამოუკიდებელ მუშაობას და ინდივიდუალურ კონსულტაციებს, შესაბამისი ლიტერატურის შესწავლას, კრიტიკულ ანალიზს, დისკუსია / დებატებს და კვლევას.

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურის შესაბამისად, რომელიც შეესაბამება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარს N3 ბრძანებას "უმაღლესი განათლების პროგრამებისთვის კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ". შეფასებები ემყარება ოთხ ძირითად პრინციპს: სანდოობას, მართებულობას, ობიექტურობას და გამჭვირვალობას. მათი გამჭვირვალობა (შეფასების ფორმები, კრიტერიუმები და ცხრილები განსაზღვრულია თითოეული სილაბუსისათვის), ხოლო დარგის სპეციფიკასთან შესაბამისობა უზრუნველყოფს დოქტორანტის სრულყოფილად ინფორმირებას მიღწეული შედეგების შესახებ. სტუდენტების ცოდნა ფასდება დადგენილი ფორმებისა და პროცედურების შესაბამისად. კერძოდ, სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა ემყარება წინასწარ განსაზღვრულ სწავლის მიზნებს და დავალებების ზუსტ და მკაფიო კრიტერიუმებს.

სტუდენტები იღებენ სათანადო *კონსულტაციებსა და მხარდაჭერას* სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასა და კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებით. დახმარებას უზრუნველყოფს შესაბამისი დეპარტამენტები და პერსონალი. აღსანიშნავია, რომ სტუდენტს შეუძლია შეკითხვებით უშუალოდ მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს, ელ.ფოსტის ან "ჩემი UG" მეშვეობით. სტუდენტთა მხარდაჭერისთვის ერთ-ერთი ღირებული ინსტრუმენტია

აკადემიური მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება დოქტორანტის ხელმძღვანელისა და ორი სხვა ექსპერტისგან, რომლებიც არიან სტუდენტის საკვლევი სფეროს ექსპერტები. საბჭოს მთავარი მიზანია დაეხმაროს დოქტორანტს კვლევის წარმატებით განხორციელებაში. პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში და მოიპოვონ სტიპენდიები კვლევისთვის; მათ ასევე, შეუძლიათ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა. ამავდროულად, დოქტორანტებს შეუძლიათ ინდივიდუალური კონსულტაციის მიღება პროგრამის პერსონალისაგან როგორც აკადემიურ, ისე ორგანიზაციულ საკითხებზე. უნივერსიტეტში სტუდენტების სპეციალური მომსახურებისთვის გამოყოფილია ფართები. დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ სხვადასხვა პროექტში, რომელიც რეკლამირებულია "ჩემი UG" სისტემის ან უნივერსიტეტის ვებ-საიტის საშუალებით.

ყველა დოქტორანტს ჰყავს *კვალიფიციური ხელმძღვანელი და თუ საჭიროა ორი თანახელმძღვანელიც,* რომელთაც აქვთ ნაშრომის თემის რელევანტური სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. ერთად, ისინი ქმნიან სამეცნიერო მრჩეველთა საბჭოს, რომელიც ხელმძღვანელობს სტუდენტს დასაწყისიდან ბოლომდე. ხელმძღვანელები რეგულარულად უწევენ კონსულტაციებს სტუდენტებს. დოქტორანტი შეიმუშავებს ინდივიდუალურ კურიკულუმს თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან ან შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან (ებთან) შეთანხმებით. ხელმძღვანელთა შესაბამისობა სადისერტაციო თემებთან, არ წარმოადგენს პრობლემას. ხელმძღვანელები მზად არიან მხარდაჭერისა და შესაბამისი უკუკავშირისთვის. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან, თუ როგორ მიმართონ ადმინისტრაციას საჭიროების შემთხვევაში, რადგან საკომუნიკაციო ხაზები ძალიან მოქნილი და ეფექტურია.

პროგრამას გამოყოფილი ყავს 13 აკადემიური / სამეცნიერო / აფილირებული პროფესორი, მათ შორის ცხრა სრული და ოთხი ასოცირებული პროფესორი. თითოეულ აკადემიურ პერსონალს აქვს შესაბამისი ხარისხი და სამუშაო გამოცდილება. პროგრამაში არ არის მოწვეული პერსონალი.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის *პროფესიული განვითარებისთვის,* აგრეთვე მათი სამეცნიერო და კვლევითი მუშაობისთვის, უნივერსიტეტმა დააარსა აკადემიური პერსონალის განვითარებისა და სამეცნიერო პროექტების მენეჯმენტის სამსახური, ასევე სამეცნიერო ჟურნალის ”სოციალური მეცნიერებების კავკასიური ჟურნალის” სარედაქციო საბჭო. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, უზრუნველყოფს შესაბამის პირობებს უნივერსიტეტში თანამედროვე ცოდნისა და ხარისხისზე ორიენტირებული კვლევების განხორციელებისთვის, ხელს უწყობს მის ინტეგრაციას სასწავლო პროცესში და ეხმარება უნივერსიტეტში სამეცნიერო პოლიტიკის დაგეგმვასა და მენეჯმენტში.

აკადემიური პერსონალი ვალდებულია სასწავლო აქტივობების განხორციელებასთან ერთად იზრუნოს პროფესიულ განვითარებაზე და ყოველწლიურად მოამზადოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო პუბლიკაცია. აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციისა და სამეცნიერო აქტივობების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტს აქვს სამეცნიერო საქმიანობის (მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, პუბლიკაციები რეფერირებად ჟურნალებში) დაფინანსების მექანიზმი. პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტარდება ტრენინგები და სემინარები.

უნივერსიტეტის აუდიტორიები და კაბინეტები *კარდა არის აღჭურვილი* პროექტორებით, WiFi- ით და სხვა თანამედროვე ტექნიკით. უნივერსიტეტს აქვს კომპიუტერული კლასები, სატელევიზიო სტუდია და დოქტორანტებისთვის სპეციალური თავისუფალი სივრცეები, რომლებიც ასევე დაკავშირებულია WiFi-თი ინტერნეტთან. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გააჩნია უახლესი სახელმძღვანელოები და სხვა სამეცნიერო პუბლიკაციები, როგორც ბეჭდური, ისე ციფრული ფორმით. ბიბლიოთეკა აღჭურვილია ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერებით. სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკით. უნივერსიტეტი აღჭურვილია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით (SPSS, სტატისტიკური პროგრამა R) და ელექტრონული მონაცემთა ბაზებით.

პროგრამის *ფინანსური გეგმა* ასახავს ყველა საჭიროებას, ფინანსური დახმარების მექანიზმებს და უზრუნველყოფს პროგრამას საჭირო მატერიალური და ტექნიკური რესურსებით. ბიუჯეტი, ასევე, უზრუნველყოფს ფინანსურ რესურსებს ფაკულტეტის ბიბლიოთეკისთვის; საერთაშორისო ელექტრონულ რესურსებზე წვდომისთვის; პერსონალის შრომის ანაზღაურებისა და სამოგზაურო ხარჯებისთვის; კვლევითი საქმიანობის ობიექტების, აკადემიური სტატიებისა და ნაშრომების გამოქვეყნებისთვის. თითოეული სტუდენტისთვის, კვლევითი აქტივობის განსახორციელებლად, გამოყოფილია 3000 ლარი.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ეხმარება პერსონალს პროგრამის მონიტორინგში, შეფასებასა და შემდგომ განვითარებაში. დეპარტამენტი მოიცავს საქმიანობის ფართო სპექტრს, მათ შორის, კურსების სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის ურთიერთმიმართების შემოწმებას, დოქტორანტთა მუშაობის შედეგების ანალიზს, სტუდენტების და თანამშრომლების მიერ კურსების შეფასებების შეგროვებასა და პროგრამის (ცვლილებების) შესაბამისობის შემოწმებას, როგორც უმაღლესი განათლების დოკუმენტებთან, ასევე საქართველოს უნივერსიტეტის წესდებასთან. საქართველოს უნივერსიტეტის პროგრამების ხარისხის გარე შეფასება მოიცავს (პოტენციურ) დამსაქმებელთა კვლევებს, კურსდამთავრებულთა კვლევას და გარე ექსპერტების შეფასებებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა ხუთშაბათს, 2019 წლის 14 ნოემბერს. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო თვითშაფასების ანგარიში, თანდართული პროგრამის ყველა კომპონენტის დეტალური სილაბუსით და აკადემიური პერსონალის CV-ებით. ვიზიტის მსვლელობაში, ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა შეხვედროდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს (მათ შორის პრო-რექტორს, სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანს, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიური პერსონალის განვითარებისა და პროექტის მენეჯმენტის სამსახურის ხელმძღვანელს, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმომადგენლებს), თვითშეფასების ჯგუფს, სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელს, პერსონალს, დამსაქმებლებსა და სტუდენტებს. შეხვედრების ყველა მონაწილე მზად იყო თანამშრომლობისთვის, დისკუსიებში ღიად და გულახდილად მონაწილეობისათვის. დამატებითი ინფორმაციის მოწოდების თაობაზე ჯგუფის მოთხოვნები დაკმაყოფილდა ვიზიტის განმავლობაში, პროფესიონალურად და ეფექტიანად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის რეზიუმე**

ექსპერტი ჯგუფი ასკვნის, რომ მასობრივი კომუნიკაციების სადოქტორო პროგრამა სრულად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს ყველა კრიტერიუმით, რომლებიც ეხება რეაკრედიტაციას.

- **რეკომენდაციების რეზიუმე**

- **რჩევების რეზიუმე**

პროგრამაში სტუდენტთა რაოდენობა უკიდურესად მცირეა (არის მხოლოდ სამი სტუდენტი, ხოლო გასული ხუთი წლის განმავლობაში არ ჰყოლია კურსდამთავრებული). მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფი აფასებს პროგრამის სტრატეგიას - "რაოდენობაზე მნიშვნელოვანი ხარისხია", როგორც სტუდენტების მიღებისთვის სახელმძღვანელო პრინციპს, ჯგუფი თვლის, რომ **სტუდენტების უფრო მეტი რაოდენობა გარანტირებულია** კომუნიკაციის სფეროს დღევანდელი მნიშვნელოვნების, კვალიფიციური მკვლევარების საჭიროების, უნივერსიტეტში არსებული რესურსების, პროგრამის, პერსონალისა და სტუდენტების ხარისხის გათვალისწინებით.

პროგრამის მენეჯმენტს ასევე ეძლევა რჩევა, რომ **გაფართოვდეს კვლევის დღის წესრიგი და სასწავლო პროგრამა**, რომელიც ამჟამად ძირითადად ფოკუსირებულია „ტრადიციულ" მასობრივ კომუნიკაციაზე. თემები, როგორიცაა გამოთვლითი საკომუნიკაციო მეცნიერება, დიდი მონაცემები (big data), შინაარსის ავტომატიზებული ანალიზი, ალგორითმები, ვირტუალური თანაშემწეები, ჩეტბოტები და კონფიდენციალურობის საკითხები, უფრო და უფრო დომინირებს საერთაშორისო საკომუნიკაციო მეცნიერების კვლევის დღის წესრიგში (მაგ., კონფერენციები, ჟურნალები და საგრანტო შესაძლებლობები).

ექსპერტთა ჯგუფი, ასევე, გირჩევთ შეისწავლოთ **კურსების მეთოდების დონის ამაღლების** ვარიანტები, რომლებიც ამჟამად საკმარისია, თუმცა არა საუკეთესო. ჯგუფი აცნობიერებს, რომ სტუდენტთა წინა განათლების დონე (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა) განსაზღვრავს და ზღუდავს სადოქტორო პროგრამის დონეს, მაგრამ შეიძლება ღირდეს, რომ მიზნად დაისახოთ სრულყოფილება და პროგრამის საერთაშორისო ამბიციების გამო, მიჰყვეთ საერთაშორისო სადოქტორო პროგრამებს, ასევე კურიკულუმში დაამატოთ ისეთი მეთოდები, როგორიცაა შინაარსის ავტომატიზებული ანალიზი და კურიკულუმის მრავალმხრივი (მაღალი დონის) ანალიზი.

მენეჯმენტს, პერსონალსა და სტუდენტებს აქვთ იმის ამბიცია, რომ პროგრამა კიდევ უფრო განავითარონ და რეგიონში **მნიშვნელოვან საერთაშორისო მოთამაშედ** აქციონ. ექსპერტთა ჯგუფი გირჩევთ შეიმუშაოთ მრავალწლიანი გეგმა, რომელიც დეტალურად აღწერდა შემდგომ აუცილებელ ნაბიჯებს (ზოგიერთი უკვე არის მენეჯმენტის დღის წესრიგში), რომ შეძლოთ: ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელება, უფრო მეტი საერთაშორისო სტუდენტის მიღება, პერსონალისა და სტუდენტებისთვის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების მეტად განვითარება, საერთაშორისო სამეცნიერო პროგრამებში და საერთაშორისო საგრანტო განაცხადებში მონაწილეობის მიღება, ერთობლივი ხარისხის დანერგვა, და აკრედატაციის მიღება, ჟურნალისტიკისა და კომუნიკაციის სფეროში, ისეთი პრესტიჟული დაწესებულებისგან, როგორიცაა ჟურნალისტიკისა და კომუნიკაციის განათლების სფეროს აკრედიტაციის საბჭო (ACEJC)

რამდენადაც პროგრამის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი საქართველოში კომუნიკაციის სფეროს განვითარებაა, **უნდა გაძლიერდეს და ოფიციალური სახე მიეცეს თანამშრომლობას სოციალურ პარტნიორებთან.** ექსპერტთა ჯგუფი გაკვირვებული დარჩა იმით, თუ რამდენად ჩართულნი არიან პროგრამაში პრაქტიკოსები და პოტენციური დამსაქმებლები. ექსპერტები უნივერსიტეტს ურჩევენ ჩამოაყალიბონ (გარე) მრჩეველთა საბჭო (მათ შორის პოტენციური დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და საერთაშორისო კოლეგების მონაწილეობით), რომლებიც პროგრამას რეგულარულად მისცემენ რჩევებს, ეს ხელს შეუწყობს პროგრამის სტრატეგიული მიზნების და მიმართულებების დასახვას. ამან ასევე შეიძლება ჩაუყაროს საფუძველი შემდგომი თანამშრომლობის, მაგ.: საერთო ინტერესების სფეროში კვლევების განვითარებას, ახალ შესაძლებლობებს.

ადგილზე ვიზიტის დროს პროგრამის წარმომადგენლებმა აღნიშნეს მასობრივი კომუნიკაციის კვლევების **ინტერდისციპლინური ხასიათი.** ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, გაამახვილოთ ყურადღება ამ ასპექტზე და განიხილოთ, თუ როგორ შეუძლია პროგრამას შემდგომი წვლილის შეტანა ჭეშმარიტად ინტერდისციპლინურ კვლევაში.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა **შემოწმდეს კურიკულუმში უფრო მეტი არჩევითი კურსების საჭიროება,** რათა გაიზარდოს ჩარიცხულ დოქტორანტთა პროფილის ჰეტეროგენურობა, მათი კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სამეცნიერო მრჩეველთა საბჭოს დაარსება, რომელიც შედგება სამი პროფესორისგან, საიდანაც ერთი არის სტუდენტის ხელმძღვანელი, ხოლო დანარჩენი ორი - ექსპერტი დოქტორანტის კვლევის კონკრეტულ დარგში. საბჭო სტუდენტს ხელმძღვანელობს პროცესის დაწყებიდან ბოლომდე.

სტუდენტების ჩართვა **უმაღლესი ხარისხის სამეცნიერო აქტივობებში**: ისინი მონაწილეობენ პერსონალის სემინარებსა და ეროვნულ/საერთაშორისო კონფერენციებში, აქვთ დიდი რაოდენობის პუბლიკაციის გამოქვეყნების ვალდებულება (მინიმუმ ორი ნაშრომის პუბლიკაცია და დისერტაცია); წინასწარი დაცვის პრაქტიკა სამეცნიერო მრჩეველთა საბჭოს ხელმძღვანელობით და პროფესორის ასისტენტად მუშაობის შესაძლებლობა.

პერსონალის ვალდებულება, რომელიც დიდ პრიორიტეტს ანიჭებს დოქტორანტის **გაძლიერებულ ინდივიდუალურ წრთვნას.**

ხარისხის უზრუნველყოფის მაღალი ხარისხი და თვალსაჩინო როლი პროგრამის მონიტორინგსა და განვითარებაში.

პროგრამის ძალიან აქტიური თანამშრომლობა (პოტენციურ) დამსაქმებლებთან და შესაბამის სამეცნიერო და კვლევით ცენტრებთან (მაგ., ნატოს საინფორმაციო ცენტრი საქართველოში).

- **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამამ ბოლოს, აკრედიტაცია გაიარა 2014 წელს. პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით გაითვალისწინეს დაინტერესებული მხარეების (მათ შორის პოტენციური დამსაქმებლების), სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის რეკომენდაციები. კერძოდ, **ლექციის ჩატარების უნარი** დაემატა პროგრამის მიზნებს და სწავლის შედეგებს, შესაბამისად, შეიცვალა კურიკულუმიც.

გარდა ამისა, **პროგრამა ახლა უფრო მეტ ყურადღებას აქცევს** კვლევის რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს, სასწავლო კურსი "აკადემიური წერა სამეცნიერო პუბლიკაციისთვის" გამოიკვეთა, როგორც საკვანძო მნიშვნელობის, ხოლო კურიკულუმს დაემატა არჩევითი კურსები - გაუმჯობესება, რომელიც პასუხობს სტუდენტების განსხვავებულ წინარე გამოცდილებას და საკვლევ თემატიკას.

სამეცნიერო მრჩეველთა საბჭო შექმნილია თითოეული სტუდენტისათვის.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამით მკაფიოდაა განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები განსაზღვრავს იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც ისახავს მიზნად პროგრამა კურსდამთავრებულებში. პროგრამის მიზნები ასევე ახდენს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შესატანი წვლილის ილუსტრირებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის მიზანია: მასობრივი კომუნიკაციის მაღალ-კვალიფიციური მკვლევრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ (1) თეორიებსა და ემპირიული ანალიზის საფუძველზე, ახალი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დამოუკიდებლად შექმნას, ასევე (2) ლექტორობას. პროგრამის მიზანია ქართველი ერისა და კაცობრიობის სასარგებლოდ, ლიბერალურ-ჰუმანისტური ღირებულებებისა და დემოკრატიული საზოგადოების პრინციპების ხელშეწყობა. ეს მიზნები (ასევე) მთავარია საქართველოს უნივერსიტეტის მისიის, შემდეგ განაცხადში "ჩვენ, ჩართული ვართ ცოდნის წარმოების და პიროვნების განათლების პროცესში. აქ ჩვენ ვგულისხმობთ, ლიბერალურ-ჰუმანური ფასეულობების კულტივირებას ხალხში, და მათ უზრუნველყოფას პატიოსანი შრომით, წარმატების მისაღწევად ყველა საჭირო ცოდნითა და უნარით. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ეს მიზნები და ამოცანები მკაფიოდ და ფართოდ არის ჩამოყალიბებული და ასახავს პროგრამის წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. მასობრივი კომუნიკაცია არა მხოლოდ საინტერესო და დროული კვლევის სფეროა, არამედ აკადემიური და საზოგადოებრივი საჭიროებაა, რომ არსებობდნენ მაღალკვალიფიციური კომუნიკაციის მკვლევრები. პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება დოქტორანტურის საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • საქართველოს უნივერსიტეტის მისია • გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან • გასაუბრება თვითშეფასების ჯგუფთან • გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან • გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: მენეჯმენტს, პერსონალსა და სტუდენტებს აქვთ იმის ამბიცია, რომ პროგრამა კიდევ უფრო განავითარონ და რეგიონში მნიშვნელოვან საერთაშორისო მოთამაშედ აქციონ. ექსპერტთა ჯგუფი გირჩევთ შეიმუშაოთ მრავალწლიანი გეგმა, რომელიც დეტალურად აღწერდა შემდგომ აუცილებელ ნაბიჯებს (ზოგიერთი უკვე არის მენეჯმენტის დღის წესრიგში), რომ შეძლოთ: ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელება, უფრო მეტი საერთაშორისო სტუდენტის მიღება, პერსონალისა და სტუდენტებისთვის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შემდგომი განვითარება, საერთაშორისო სამეცნიერო პროგრამებში და საერთაშორისო საგრანტო პროექტებში მონაწილეობის მიღება, ერთობლივი ხარისხის დანერგვა, და აკრედიტაციის მიღება ჟურნალისტიკისა და კომუნიკაციის სფეროში, ისეთი პრესტიჟული დაწესებულებისგან, როგორიცაა ჟურნალისტიკისა და კომუნიკაციის განათლების აკრედიტაციის საბჭო (ACEJC). ადგილზე ვიზიტის დროს პროგრამის წარმომადგენლებმა აღნიშნეს მასობრივი კომუნიკაციის კვლევების ინტერდისციპლინური ხასიათი. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, გაამახვილოთ ყურადღება ამ ასპექტზე და განიხილოთ, თუ როგორ შეუძლია პროგრამას შემდგომი წვლილის შეტანა ჭეშმარიტად ინტერდისციპლინურ კვლევაში.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) გასულ პერიოდში პროგრამის მიზნებს დაემატა მიზანი - "სწავლების უნარი".
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს და/ან პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებიც კურსდამთავრებულებს უნდა ჰქონდეთ პროგრამის დასრულების შემდეგ. ცოდნის სწავლის შედეგები მოიცავს თეორიებს, მეთოდებს, აკადემიურ წერას და სწავლებას. უნარები მოიცავს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის უნარებს, სამეცნიერო და პროფესიულ საზოგადოებასთან ეფექტურად კომუნიკაციის უნარს, ასევე ლექციების დამოუკიდებლად დაგეგმვისა და ჩატარების უნარს. სწავლის შედეგების კომპეტენციებს შორისაა - პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში ჩართულები იყვნენ პოტენციური დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. სწავლის შედეგები შეესაბამება შრომის ბაზრისა და პოტენციური დამსაქმებლების საჭიროებებს. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ სწავლის შედეგები მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადია, შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სწავლის შედეგების რუკა
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- გასაუბრება თვითშეფასების ჯგუფთან
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

გასულ პერიოდში სწავლის შედეგები გაფართოვდა სწავლის შედეგებით, რაც აუცილებელი იყო პროგრამის დამატებული მიზნის - "სწავლებისათვის".

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არის გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომი. ისინი ეფუძნება წარმატებული კვლევის საჭიროებებს. კერძოდ, მაგისტრის ხარისხის ან ექვივალენტური აკადემიური კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტები, ინგლისური ენის სოლიდური ცოდნით, დაიშვებიან სადოქტორო პროგრამაზე მასობრივ კომუნიკაციაში. B2 დონეზე ინგლისური ენის ცოდის დადასტურება სავალდებულოა. სკოლის საბჭო, ასევე, აფასებს სტუდენტის საკვლევ თემას შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: მნიშვნელობა, დამოწმებები და სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ დაშვების ეს წინაპირობები შეესაბამება მოთხოვნებს და ეროვნულ/საერთაშორისო სტანდარტებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებ-საიტზე (www.ug.edu.ge)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: პროგრამაში სტუდენტთა რაოდენობა ძალიან მცირეა (ამჟამად არის მხოლოდ სამი

სტუდენტი, ხოლო გასული ხუთი წლის განმავლობაში არ ჰყოლია კურსდამთავრებული). მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფი აფასებს პროგრამის სტრატეგიას "რაოდენობაზე მნიშვნელოვანი ხარისხია", როგორც სტუდენტების მიღებისთვის სახელმძღვანელო პრინციპს, ჯგუფი თვლის, რომ სტუდენტების უფრო მეტი რაოდენობა გარანტირებულია კომუნიკაციის სფეროს დღევანდელი მნიშვნელობის, კვალიფიციური მკვლევრების საჭიროების, უნივერსიტეტში არსებული რესურსების, პროგრამის, პერსონალისა და სტუდენტების ხარისხის გათვალისწინებით.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ს საგანმათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შემუშავდა საქართველოს უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და გაუმჯობესების მეთოდოლოგიის გამოყენებით. 180 ECTS-იანი პროგრამა შედგება ორი ნაწილისაგან: (1) კურსები (60 ECTS) და (2) კვლევა (120 ECTS), რაც შეესაბამება ქართულ და ევროპულ სტანდარტებს. 45 ECTS მოიცავს სავალდებულო კურსებს: მასობრივი კომუნიკაციები, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა, აკადემიური წერა სამეცნიერო პუბლიკაციებისათვის და უმაღლესი განათლების სწავლების / შეფასების თანამედროვე სტრატეგიები. 15 ECTS უნდა შეივსოს არჩევითი კურსებით, შემდეგი ჩამონათვალიდან: პროფესორის ასისტირება, კვლევითი პროექტის მენეჯმენტი, ტექსტების რედაქტირება და თარგმნა, მეცნიერების ფილოსოფია და ელექტრონული სწავლების მენეჯმენტის სისტემები. პროგრამის ორ წლიანი, კვლევის ნაწილი დეტალურად განიხილება სტუდენტისა და მისი სამეცნიერო მრჩეველთა საბჭოს მიერ, რომელიც შედგება სამი პროფესორისაგან, ერთი არის სტუდენტის ხელმძღვანელი, ხოლო დანარჩენი ორი - დოქტორანტის საკვლევი სფეროს ექსპერტები. კვლევისადმი მოთხოვნები გამჭვირვალეა: (სულ მცირე) ორი სამეცნიერო ნაშრომი, ერთი კონფერენციაში მონაწილეობა, ერთი დისერტაცია, წინასწარი

დაცვა და საჯარო დაცვა (რომელიც აღიბეჭდება ფირზე). დისერტაციის შეფასებისა და საჯარო დაცვის შესაფასებლად სკოლის საბჭო ნიშნავს 5 წევრს. ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს პროგრამის სტრუქტურას. პროგრამა შექმნილია უსდ-ის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინისა და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად, ითვალისწინებს პროგრამის დაშვების წინაპირობებსა და პროგრამების სწავლის შედეგებს. მასობრივი კომუნიკაციების პროგრამის კურიკულუმში ჩართულ თითოეულ კომპონენტს აქვს შესაბამისი სილაბუსი, რომელიც ასახავს კომპონენტზე დაშვების წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე - კომპონენტის მიზნებს, შინაარსს, მეთოდებს, სასწავლო მასალას (ლიტერატურას), შეფასების ფორმასა და კრიტერიუმებს. კვლევის მოდულის „სადოქტორო დისერტაციის“ მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები მოცემულია დოქტორანტურის დებულებაში და სამეცნიერო მრჩეველთა საბჭოს წესებში. პროგრამის შინაარსის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად პროგრამის სწავლის შედეგებთან ერთად, შემუშავებულია სწავლის შედეგების რუკა. ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს სადოქტორო პროგრამის სტრუქტურას, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის დაუბრკოლებელ პროგრესს და მის მიერ, სწავლის შედეგების მიღწევას. რუკა, რომელიც გვიჩვენებს ურთიერთობას, ერთის მხრივ, კურსების სწავლის შედეგებსა და კვლევით ნაწილებს, ხოლო მეორეს მხრივ, პროგრამის სწავლის შედეგებს შორის, ადასტურებს ორივეს თანმიმდევრულობას და გვიჩვენებს, თუ რა წვლილი შეაქვს კურსებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. სილაბუსები შეიცავს ყველა შესაბამის ინფორმაციას. გასული პერიოდში, პროგრამაში არჩევითი კურსების ჩართვა წარმოადგენს გაუმჯობესებას. ექსპერტთა ჯგუფს, ასევე, ძალიან მოსწონს სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს დაარსება, რომელიც სტუდენტს ხელმძღვანელობს სწავლის დაწყებიდან ბოლომდე. ეს საბჭო ამტკიცებს სადოქტორო კვლევების დიზაინს, სტუდენტს აძლევს რჩევას კურსების შერჩევაზე, ჩასატარებელ კვლევებზე, პუბლიკაციებისთვის განსახილველ ჟურნალებზე და კონფერენციებზე, ასევე უწევს მონიტორინგს სტუდენტის მიერ მიღწეულ პროგრესს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის წესები • პროგრამის სწავლის შედეგების რუკა კურსების სწავლის შედეგების საპირისპიროდ • გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან • გასაუბრება თვითშეფასების ჯგუფთან • პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: ექსპერტთა ჯგუფი გირჩევთ, რომ გააკონტროლოთ კურიკულუმში უფრო მეტი არჩევითი კურსების შეტანის საჭიროება, რათა მოხდეს ჩარიცხულ დოქტორანტთა პროფილის ჰეტეროგენურობის გაზრდა, მისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): სამეცნიერო მრჩეველთა საბჭოს დაარსება, რომელიც შედგება სამი პროფესორისგან, საიდანაც ერთი არის სტუდენტის ხელმძღვანელი, ხოლო დანარჩენი ორი - დოქტორანტის საკვლევ დარგის ექსპერტები, ისინი სტუდენტს ხელმძღვანელობენ დოქტორანტურაში სწავლის დაწყებიდან დასრულებამდე. სტუდენტების ჩართვა უმაღლესი ხარისხის სამეცნიერო აქტივობებში: ისინი მონაწილეობენ პერსონალის სემინარებსა და ეროვნულ/საერთაშორისო კონფერენციებში, აქვთ დიდი რაოდენობით გამოქვეყნების ვალდებულება (მინიმუმ ორი ნაშრომის პუბლიკაცია და დისერტაცია); წინასწარი დაცვის პრაქტიკას ხელმძღვანელობს სამეცნიერო მრჩეველთა საბჭო და არსებობს პროფესორის ასისტენტად მუშაობის შესაძლებლობა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში გასულ პერიოდში, პროგრამაში ადაპტირდა ან დაემატა რამდენიმე კურსი, მაგალითად, აკადემიური წერა, კვლევის (რაოდენობრივი და თვისებრივი) მეთოდები და მასობრივი კომუნიკაციები. სავალდებულო კურსების გარდა, კურიკულუმს დაემატა არჩევითი საგნები. დაარსდა სამეცნიერო მრჩეველთა საბჭო.
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.3 სასწავლო კურსი
➢ თითოეული ძირითადი კურსის სტუდენტის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან; გარდა ამისა, თითოეული კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის თითოეული სავალდებულო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის საერთო სწავლის შედეგებს. ყველა სავალდებულო (მასობრივი კომუნიკაცია, ხარისხობრივი კვლევის მეთოდები,

რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, სამეცნიერო პუბლიკაციების აკადემიური წერა, უმაღლესი განათლების თანამედროვე სწავლების / შეფასების სტრატეგიები) და არჩევითი კურსების შინაარსი და კრედიტების მოცულობა შეესაბამება სწავლის შედეგებს, რაც გარანტირებულია პროგრამის მენეჯერთან, ცალკეული სასწავლო კომპონენტის კურატორებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთობლივი მუშაობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ითვალისწინებს, თუ რამდენად შეესაბამება სილაბუსებში ჩამოთვლილი სასწავლო მასალები, სფეროში არსებულ მნიშვნელოვან მიღწევებს.

კომპონენტის სილაბუსებში მითითებული სამეცნიერო ლიტერატურა (მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები) კომპონენტის თემის შესაბამისია და ემყარება ამ სფეროში მნიშვნელოვან მიღწევებს. რაც გარანტირებულია კურსის კურატორის მიერ განხორციელებული კითხვარების ანალიზით, კურსის თემებისა და რეკომენდებული ლიტერატურის სრული შესაბამისობისა და სფეროში თანამედროვე მიღწევებთან რელევანტურობის თაობაზე. აქედან გამომდინარე, ხდება ლიტერატურის განახლება, ან სილაბუსის თემების კორექტირება. ბიბლიოთეკაში დაცული მასალები ხელმისაწვდომია საქართველოს უნივერსიტეტის ყველა სტუდენტის, პროფესორისა და მასწავლებლისათვის. დამატებითი ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა სტუდენტებს აქვთ ასევე JSTOR– ის მეშვეობით. სავალდებულო კურსების სილაბუსებში ჩამოთვლილი რესურსები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მასობრივ კომუნიკაციებში სპეციალიზაციის მოდული გამოიკვეთა დოქტორანტის ყველაზე მნიშვნელოვან სასწავლო კომპონენტად, რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო მიდგომებისა და პარადიგმების ცოდნას მასობრივ კომუნიკაციაში, კრიტიკულ ანალიზსა და ინოვაციურ უნარებს. სამეცნიერო პუბლიკაციების აკადემიური წერა ყურადღებას ამახვილებს სამეცნიერო ნაშრომების სხვადასხვა ფორმატებზე და პუბლიკაციის გამოსაქვეყნებლად მოსამზადებელი პროცესის თავისებურებების ცოდნაზე. დარგში უახლესი მიღწევების საფუძველზე, თვისებრივი კვლევის მეთოდები იძლევა ცოდნას თვისებრივი მონაცემების შეგროვების მეთოდების, კვლევის დიზაინისა და კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები ავითარებს კვლევის შედეგად მიღებული, სტატისტიკური მონაცემების დამუშავების უნარს.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ თითოეული ძირითადი კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან; გარდა ამისა, თითოეული კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. ჯგუფს ასევე მიაჩნია, რომ სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის განზრახული სწავლის შედეგების მიღწევას. ვინაიდან, მასობრივი კომუნიკაცია მუდმივად ცვალებადი დარგია, ის მოითხოვს ახალ სამეცნიერო მიდგომებსა და შორსმჭვრეტელობას,

შესაბამისად, რეკომენდებულია კურსების ლიტერატურის პერიოდული განახლება. კერძოდ, ჯგუფი თვლის, რომ შესაძლოა ღირდეს კურსების გაფართოება და იმ თემების დამატება, რომლებიც უფრო მეტად დომინირებენ საერთაშორისო საკომუნიკაციო მეცნიერების კვლევის დღის წესრიგში, როგორიცაა გამოთვლითი კომუნიკაციის მეცნიერება, დიდი მონაცემები (Big Data), შინაარსის ავტომატიზებული ანალიზი, ალგორითმები, ვირტუალური თანაშემწეები, ჩეტბოტები და კონფიდენციალურობის საკითხები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასწავლო მოდულის კომპონენტების სილაბუსები • სადოქტორო პროგრამა მასობრივ კომუნიკაციაში • სწავლის შედეგების რუკა.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: პროგრამის მენეჯმენტს ვაძლევთ რჩევას, რომ გაფართოვდეს კვლევის ფარგლები და სასწავლო პროგრამა, რომელიც ამჟამად, ძირითადად ფოკუსირებულია „ტრადიციულ“ მასობრივ კომუნიკაციაზე. თემები, როგორიცაა გამოთვლითი საკომუნიკაციო მეცნიერება, დიდი მონაცემები (Big Data), შინაარსის ავტომატიზებული ანალიზი, ალგორითმები, ვირტუალური თანაშემწეები, ჩეტბოტები და კონფიდენციალურობის საკითხები, უფრო და უფრო დომინირებს საერთაშორისო საკომუნიკაციო მეცნიერების კვლევის დღის წესრიგში (მაგ., კონფერენციები, ჟურნალები და საგრანტო შესაძლებლობები). ექსპერტთა ჯგუფი, ასევე, გირჩევთ შეისწავლოთ კურსების მეთოდების ხარისხის გაზრდის ვარიანტები, რომლებიც ამჟამად საკმარისია, თუმცა არა საუკეთესო. ჯგუფი აცნობიერებს, რომ სტუდენტთა წინა განათლების დონე (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა) განსაზღვრავს და ზღუდავს სადოქტორო პროგრამის დონეს, მაგრამ შეიძლება ღირდეს, რომ მიზნად დაისახოთ სრულყოფილება და პროგრამის საერთაშორისო ამბიციების გამო, მიჰყვეთ საერთაშორისო სადოქტორო პროგრამებს, ასევე კურიკულუმში დაამატოთ ისეთი მეთოდები, როგორიცაა შინაარსის ავტომატიზებული ანალიზი და კურიკულუმის მრავალმხრივი (მაღალი დონის) ანალიზი.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ ოთხი ტიპის უნარების შეძენას. პირველ რიგში, ახალი ცოდნის შექმნის მიზნით მასობრივი კომუნიკაციების, მედიისა და სტრატეგიული კომუნიკაციების შესახებ რაოდენობრივი ან / და თვისებრივი კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვისა და ჩატარების უნარი. მეორე, არსებული ცოდნის ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი, მათ შორის მასობრივი კომუნიკაციების თეორიების, მიდგომების, აუდიტორიების, მოდელების და ახალი კვლევითი პრობლემების იდენტიფიცირების უნარი. მესამე, პროფესიულ საზოგადოებასთან წერილობითი კომუნიკაციის უნარი. მეოთხე, ლექციების დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი. ამ უნარების შეძენა ხდება საკურსო მუშაობის, კვლევების ჩატარების, კონფერენციებში მონაწილეობის, ნაშრომების პუბლიკაციისა და დისერტაციის დაცვის საშუალებით. სტუდენტებს, ასევე, უწევთ დისერტაციის წინასწარი და საჯაროდ დაცვა. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს აირჩიოს პრაქტიკა, პროფესორის ასისტენტენტობის ფორმით. პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან • გასაუბრება თვითშეფასების ჯგუფთან • გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან • გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან • გასაუბრება სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში): • სემინარებში მონაწილეობა • კონფერენციაში მონაწილეობა • ორი ნაშრომის პუბლიკაციის მოთხოვნა • პროფესორის ასისტენტად მუშაობის შესაძლებლობა • წინასწარი დაცვა

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში გამოყენებული სწავლის მეთოდები მითითებულია სილაბუსებში. კურსების მეთოდები მოიცავს ლექტორების მიერ განხორციელებულ ინსტრუქტაჟს, დამოუკიდებელ მუშაობას და ინდივიდუალურ კონსულტაციებს, შესაბამისი ლიტერატურის შესწავლას, კრიტიკულ ანალიზს, დისკუსია / დებატებს და კვლევას. ექსპერტთა ჯგუფზე შთაბეჭდილება მოახდინა ლექტორების მზადყოფნამ, რომ "ნებისმიერ დროს" კონსულტაცია გაუწიონ სტუდენტებს, რათა მისცენ დოქტორანტებს ზეპირი ან წერილობითი შესაბამისი უკუკავშირი (ელ. ფოსტით). ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრებისას როგორც ლექტორებმა, ისე სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება ამ პრაქტიკის მიმართ. ექსპერტთა ჯგუფი ნამდვილად დადებითად აფასებს ამ დიდაქტიკურ მიდგომას, რომელიც შესაბამისობაშია განსახილველი პროგრამის (დოქტორანტურის) სწავლების დონესთან და რომელშიც დოქტორანტის ინდივიდუალური განვითარება ცენტრალური საკითხია. ექსპერტთა ჯგუფი, საუკეთესო პრაქტიკად აფასებს, სამეცნიერო მრჩეველთა საბჭოს მიერ დოქტორანტის ინდივიდუალურ ხელმძღვანელობას კვლევის ფაზაზე. სამეცნიერო მრჩეველთა საბჭო შედგება ხელმძღვანელისა და ორი წევრისაგან, რომლებიც შეიძლება იყნენ სხვადასხვა დისციპლინიდან (ინტერდისციპლინური კვლევის შემთხვევაში). ეს საბჭო ხელმძღვანელობს სტუდენტს სწავლის პერიოდში და აძლევს რჩევებს კვლევის ეტაპების, გამოქვეყნების პროცესის, ნაშრომებისა და დისერტაციის დაცვის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • კურსის სილაბუსები • სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის წესები • პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ • გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან • გასაუბრება სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში): პერსონალის ერთგულება, რომელებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ დოქტორანტის გაძლიერებულ ინდივიდუალურ გაწვრთნას. სამეცნიერო მრჩეველთა საბჭოს დაარსება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში იხილე საუკეთესი პრაქტიკა
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების ცოდნა ფასდება დადგენილი ფორმებისა და პროცედურების შესაბამისად. კერძოდ, სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა ემყარება წინასწარ განსაზღვრულ სწავლის მიზნებს, ასევე დავალებების შეფასების ზუსტ და მკაფიო კრიტერიუმებს. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურის შესაბამისად, რომელიც შეესაბამება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარს N3 ბრძანებას "უმაღლესი განათლების პროგრამებისთვის კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ". შეფასებები ემყარება ოთხ ძირითად პრინციპს: სანდოობას, ვალიდურობას, ობიექტურობას და გამჭვირვალობას. მათი გამჭვირვალობა (შეფასების ფორმები, კრიტერიუმები და ცხრილები განსაზღვრულია თითოეული სილაბუსისათვის) და შესაბამისობა დარგის სპეციფიკასთან, უზრუნველყოფს დოქტორანტის სრულყოფილად ინფორმირებას მიღწეული შედეგების თაობაზე. სასწავლო კომპონენტების შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების მრავალ ფორმას (მაგ.,

შუალედური და დასკვნითი, ან შუალედური, დასკვნითი და პრეზენტაცია), რომელიც იძლევა მონიტორინგს განახორციელოს საშუალებას დოქტორანტის მიერ ცოდნისა და უნარების შეძენის პროცესზე და, ამრიგად, იგი დოქტორანტს ეხმარება სასწავლო კომპონენტში დასახული მიზნების მიღწევაში. სამეცნიერო მრჩეველთა საბჭო რეგულარულ მონიტორინგს უტარებს სტუდენტების სწავლისა და უნარების პროგრესს. პროგრამის განმავლობაში, დოქტორანტს შეუძლია აკადემიურ პერსონალთან განიხილოს თავისი აკადემიური მიღწევები და მათი გაუმჯობესების გზები. დოქტორანტს, ასევე, შეუძლია გაასაჩივროს შეფასება დადგენილი სტუდენტის შეფასების, კრედიტ ქულების და დამატებითი/ განმეორებითი კურსების/ კომპონენტების პროცედურების შესაბამისად, დიპლომისშემდგომი განათლების დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სადოქტორო დისერტაციის წერა არის ეტაპობრივი და თანმიმდევრული პროცესი, რომლის მონიტორინგი ხორციელდება პერიოდულად. პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს განმავითარებელი შეფასება, რაც ნიშნავს, რომ სამეცნიერო მრჩეველთა საბჭო უწყვეტად გასცემს სემინარებსა და წინასწარ დაცვაზე უკუკავშირს. სადოქტორო დისერტაციის დაცვისა და შეფასების პროცედურები, ასევე შეფასების კრიტერიუმები მოცემულია დოქტორანტურის დებულებაში და სამეცნიერო მრჩეველთა საბჭოს წესებში. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ დოქტორანტთა შეფასების პროცედურები და მათი გამოყენება დადასტურებულია მოთხოვნებით და არის მაღალი ხარისხის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო პროგრამა მასობრივ კომუნიკაციაში • დოქტორანტურის დებულება • სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის წესები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

უსდ ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს შესაბამისი სერვისების შეთავაზებით. პროგრამის განმახორციელებელი თანამშრომლები სტუდენტებს აცნობენ აღნიშნულ სერვისებს, ატარებენ ღონისძიებებს და ხელს უწყობენ სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები
სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასა და კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სტუდენტთა მხარდაჭერისთვის აუცილებელი მომსახურებები უნივერსიტეტში ხორციელდება. სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასა და კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებით. დახმარება უზრუნველყოფილია შესაბამისი სამსახურებისა და პერსონალის ჩართულობით, დეკანისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ სტუდენტს შეუძლია შეკითხვებით უშუალოდ მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს, ელ.ფოსტის ან "ჩემი UG"-ის საშუალებით. სტუდენტთა მხარდაჭერისთვის ერთ-ერთი ღირებული ინსტრუმენტია აკადემიური მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება დოქტორანტის ხელმძღვანელისა და სტუდენტის საკვლევი სფეროს ორი ექსპერტისგან.. საბჭოს მთავარი მიზანია დაეხმაროს დოქტორანტს სამეცნიერო/კვლევის პროცესის წარმატებით განხორციელებაში. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და

კვლევითი სტიპენდიების მოპოვებაში, ასევე, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. დოქტორანტებს შეუძლიათ ინდივიდუალური კონსულტაციის მიღება პროგრამის პერსონალისაგან და უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელისაგან, პროგრამის, როგორც აკადემიურ, ისე ორგანიზაციულ საკითხებზე. უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის გამოყოფილია სპეციალური მომსახურების სივრცეები. დოქტორანტებს შეუძლიათ ჩაერთონ სხვადასხვა პროექტში, რომელიც რეკლამირებულია "ჩემი UG" სისტემის ან უნივერსიტეტის ვებ-საიტის საშუალებით. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასა და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ადგილზე ვიზიტი • თვითშეფასების ანგარიში • აკადემიური პროგრამა • სტუდენტური სისტემა "My UG" • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი • სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის წესები • შესაბამისი დეპარტამენტების საქმიანობის აღწერილობები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): სადოქტორო სამეცნიერო მრჩეველთა საბჭო ძლიერი და ეფექტური ინსტრუმენტია დოქტორანტებისთვის ყველა საჭირო დახმარების მისაწოდებლად, რათა მათ წარმატებით განახორციელონ კვლევის პროცესი.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ სადისერტაციო ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის, სხვა შესაბამისი დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ

პროგრამას ჰყავს დისერტაციის კვალიფიციური ხელმძღვანელები და ამ მხრივ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს. ყველა დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და თუ საჭიროა ორი თანახელმძღვანელი, რომელთაც აქვთ ნაშრომის თემის რელევანტური სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. ერთად ისინი ქმნიან სამეცნიერო მრჩეველთა საბჭოს, რომელიც ხელმძღვანელობს სტუდენტს სწავლის დაწყებიდან დასრულებამდე. ხელმძღვანელები რეგულარულად უწევენ კონსულტაციებს სტუდენტებს. ასოცირებული პროფესორი ლელი ბიბილაშვილი, რომელიც ხელმძღვანელობს სადოქტორო პროგრამას მასობრივ კომუნიკაციებში, სტუდენტებს ამ პროცესში უწევს ყველა საჭირო დახმარებას. დოქტორანტი შეიმუშავებს ინდივიდუალურ კურიკულუმს თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან ან შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან (ებთან) შეთანხმებით. თანამშრომლები და სტუდენტები მიუთითებენ, რომ ხელმძღვანელების შერჩევა დისერტაციის თემების მიხედვით არ არის რთული. ხელმძღვანელები ხელმისაწვდომები არიან მხარდაჭერისა და შესაბამისი უკუკავშირის გასაწევად. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან, თუ როგორ მიმართონ ადმინისტრაციას საჭიროების შემთხვევაში, რადგან საკომუნიკაციო ხაზები უაღრესად მოქნილი და ეფექტურია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების მოსაზრებები • ინტერვიუები სტუდენტებთან • ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს • პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის CV-ები • პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები:
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და დასახული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსები
➢ პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური სპეციალისტებისაგან, რომლებიც ფლობენ საჭირო კომპეტენციას, რათა დაეხმარონ სტუდენტებს სწავლის შედეგების მიღწევაში; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის მდგრად წარმართვას და ასევე, კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამას ჰყავს 13 აკადემიური / სამეცნიერო / აფილირებული პროფესორი, მათ შორის ცხრა სრული და ოთხი ასოცირებული პროფესორი. თითოეულ აკადემიურ პერსონალს აქვს შესაბამისი ხარისხი და სამუშაო გამოცდილება პროგრამის განსახორციელებლად. მოწვეული პერსონალი პროგრამაში არ არის. პროგრამის ხელმძღვანელი არის ასოცირებული პროფესორი, რომელსაც აქვს პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო პროფესიული კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება. პროგრამას ხელს უწყობენ განათლების მართვის სამსახურის, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის, სკოლისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვალიფიციური და გამოცდილი თანამშრომლები. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ პერსონალი დაკომპლექტებულია კვალიფიციური ადამიანებით (აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი), რომლებსაც აქვთ შესაბამისი კომპეტენციები, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების

მიღწევაში. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის მდგრად წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. მოწვეული პერსონალი საერთოდ არ არის, რაც ძლიერ უწყობს ხელს პროგრამის მდგრადობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • შესაბამისი სამუშაოს აღწერილობები • აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები • აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის დებულება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო/კვლევით მუშაობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკადემიურ / სამეცნიერო პერსონალს რეგულარულად აფასებს როგორც ადმინისტრაცია, ასევე დოქტორანტები (იხ. აგრეთვე ნაწილი 5.1). ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ატარებს საჭირო კვლევებს. ამ კვლევების შედეგებსა და რეკომენდაციებს განიხილავს და ამტკიცებს აკადემიური საბჭო, ხოლო - საჭიროების შემთხვევაში - სკოლის ხელმძღვანელის, პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ერთობლივი კონსულტაციის შედეგად ხორციელდება ცვლილებები პროგრამის გარკვეულ მოდულებში. საქართველოს უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პროფესიულ განვითარებას, აგრეთვე მათ სამეცნიერო და კვლევით მუშაობას. ამ პოლიტიკის გასატარებლად უნივერსიტეტმა დააარსა აკადემიური პერსონალის განვითარებისა და სამეცნიერო პროექტების მენეჯმენტის სამსახური და ასევე, სამეცნიერო

ჟურნალის "სოციალური მეცნიერებების კავკასიური ჟურნალის" სარედაქციო კოლეგია. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, უზრუნველყოფს შესაბამის პირობებს უნივერსიტეტში თანამედროვე ცოდნისა და ხარისხისზე ორიენტირებული კვლევების განხორციელებისთვის, ხელს უწყობს მის ინტეგრაციას სასწავლო პროცესში და ეხმარება უნივერსიტეტს სამეცნიერო პოლიტიკის დაგეგმვის და მენეჯმენტის პროცესში.

აკადემიური პერსონალი ვალდებულია სასწავლო საქმიანობასთან ერთად იზრუნოს პროფესიულ განვითარებაზე და ყოველწლიურად მოამზადოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო პუბლიკაცია. აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციისა და სამეცნიერო აქტივობების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა სამეცნიერო საქმიანობის (მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, პუბლიკაციები რეფერირებად ჟურნალებში) დაფინანსების მექანიზმი. ტრენინგები და სემინარები ტარდება პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მაგალითად, მკვლევრები მუშაობენ ისეთ კვლევით პროექტებზე, როგორიცაა "რუსული მედიის გავლენა რუსულენოვან მოსახლეობაზე და პოლიტიკური პროცესები გერმანიასა და საქართველოში" (გერმანელ კოლეგებთან ერთად), ონლიან-პლატფორმა „ქართული პრესის განვითარების ისტორია დაარსების დღიდან", გლობალური კვლევითი პროექტი „ქალები საზოგადოებასთან ურთიერთობებში" - ლიდსის უნივერსიტეტთან (დიდი ბრიტანეთი) ერთად.

დაგეგმილია რამდენიმე სამეცნიერო აქტივობა: სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია "თანამედროვე აღმოჩენები სოციალურ მეცნიერებებში: სტრატეგიული კომუნიკაციებისა და პოლიტიკური თავისუფლებების როლი საზოგადოების ფორმირებაში"; მრავალსაფეხურიანი სემინარი თემაზე: „კვლევა უნივერსიტეტში", რომლის დამთავრების შემდეგ, დამწყები მკვლევრები გაეცნობიან თანამედროვე აკადემიური კვლევის ძირითად მეთოდებსა და ტექნიკას; ერთობლივი სამეცნიერო პროექტი "საქართველოს საგარეო კურსის ანალიზი" - საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრთან (GSAC) ერთად; გერმანელი მკვლევრის სემინარი „მონაცემთა დამუშავება სტატისტიკური გამოთვლის R პროგრამით"; გარდა ამისა, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს ფაქტების შემოწმების, კონტრპროპაგანდისა და გადამოწმების საკითხებზე, ორგანიზებას უწევს და მონაწილეობს ადგილობრივ/საერთაშორისო სემინარებსა და ტრენინგებში.

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის სტუდენტებმა და პროფესორებმა მონაწილეობა მიიღეს ტრანს-ევროპული ანტიპოპაგანდისა და ფაქტების შემოწმების პროექტში (ecraftcheck.eu). ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი გახდა ევროპის საზოგადოებასთან ურთიერთობის სწავლებისა და კვლევის ასოციაციის (EUPRERA) და ევროპული ჟურნალისტიკის ტრენინგის ასოციაციის (EJTA)

წევრი. ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი მონაწილეობდა ბარსელონაში (ესპანეთი) პომპეუ ფაბრას უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში. ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი მონაწილეობდა კვლევის პრეზენტაციაში Sinergie-SIMA 2019 კონფერენციაზე, რომელიც ორგანიზებული იყო რომის (იტალია) საპიენცას უნივერსიტეტის მიერ. ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი მონაწილეობდა ჟურნალისტიკის განათლების მსოფლიო კონგრესში (WJEC PARIS) პარიზში (საფრანგეთი). უცხოელი სტუმარი პროფესორები უნივერსიტეტში რეგულარულად კითხულობენ ლექციებს. მაგალითად: ბრიტანელი მეცნიერი ევან ლოუსონი (Royal United Services Institute-ის (RUSI) სამხედრო გავლენის შემსწავლელი უფროსი მკვლევარი), კრისტიან კაუფელდი, რასტო კუზელი, იანის ბუფოლცი და სხვები. ქართველი სპეციალისტები სტუდენტებსა და პროფესორებს სთავაზობენ მოსამზადებელ კურსებს. მაგალითად, "პრეზენტაციის ეფექტური ტექნიკა", "კვლევა - მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების ძირითადი ინსტრუმენტი" და სხვ. ექსპერტთა ჯგუფზე შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს უნივერსიტეტში შემუშავებულმა აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასების, პროგრამის მასშტაბმა და ხარისხმა. ჯგუფი ასევე თვლის, რომ საქართველოს უნივერსიტეტი ადეკვატურად უწყობს ხელს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას და მათ სამეცნიერო და კვლევით მუშაობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები: • სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულების დანართი პრემიების მინიჭების წესის შესახებ • პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების ჩამონათვალი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): პროგრამის ძალიან აქტიური თანამშრომლობა (პოტენციურ) დამსაქმებლებთან და შესაბამის სამეცნიერო და კვლევით ცენტრებთან (მაგ., ნატოს საინფორმაციო ცენტრი საქართველოში).
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.3. მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტთა ჯგუფისათვის ცხადი გახდა, რომ სადოქტორო პროგრამას გააჩნია კურიკულუმის განსახორციელებლად საკმარისი მატერიალური და ტექნიკური რესურსები. უნივერსიტეტის აუდიტორიები და კაბინეტები კარგად აღჭურვილია პროექტორებით, WiFi- ით და სხვა თანამედროვე ტექნიკით. უნივერსიტეტს აქვს კომპიუტერული კლასები, სატელევიზიო სტუდია და დოქტორანტებისთვის სპეციალური თავისუფალი სივრცეები, რომლებიც ასევე დაკავშირებულია WiFi-თი ინტერნეტთან. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს უახლესი სახელმძღვანელოები და სხვა სამეცნიერო პუბლიკაციები, როგორც ბეჭდური, ისე ციფრული ფორმით, რაც დოქტორანტს საშუალებას აძლევს მიიღოს საჭირო ლიტერატურა და იმუშაოს პროფესიული განვითარების მიმართულებით. ბიბლიოთეკა აღჭურვილია ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერებით. სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკით. უნივერსიტეტი აღჭურვილია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით (SPSS, სტატისტიკური პროგრამა R) და ელექტრონული მონაცემთა ბაზებით, როგორებიცაა ELSEVIER - Scopus; Science Direct; Social Funding (Funding Institutional), Cambridge Journals Online, e-Duke Journals Scholarly Collection, Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books, SAGE Premier, IMechE Journals. დოქტორანტებს აქვთ ინფორმაცია ზემოთ ხსენებული რესურსების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების წესების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის ადმინისტრაცია მზად არის შეიძინოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო ლიტერატურა და შეავსოს ბიბლიოთეკის ფონდი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მხრიდან მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში. უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს კვებით მომსახურებას "კაფეტერია 145"-ის მეშვეობით, კერძების შესანიშნავი ხარისხითა და მეგობრული გარემოთი. ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი საჭირო ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის შენობების მონახულება (აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები, სატელევიზიო სტუდია, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკა) • წვდომა საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებთან; • სავალდებულო და დამატებითი საკურსო მასალების სერჩევითი შემოწმება

• თვითშეფასების ანგარიში (ინგლისური/ქართული ვერსია, pdf); • ინტერვიუ დოქტორანტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა შესაბამის პერსონალის ინტერვიუში დაადგინა, რომ პროგრამის შესასრულებლად გათვალისწინებული ფაკულტეტის ბიუჯეტი საკმარისია იმისათვის, რომ იგი იყოს ეკონომიკურად ხელმისაწვდომი და შეესატყვისებოდეს სადოქტორო პროგრამის საჭიროებებს. პროგრამის ფინანსური გეგმა ასახავს ყველა საჭიროებას, ფინანსური დახმარების მექანიზმებს და უზრუნველყოფს პროგრამას საჭირო მატერიალური და ტექნიკური რესურსებით. ბიუჯეტი, ასევე უზრუნველყოფს ფაკულტეტის ბიბლიოთეკის ახალი წიგნებით მომარაგებას, წვდომას საერთაშორისო ელექტრონულ რესურსებზე, პერსონალის კომპენსაციასა და სამოგზაურო ხარჯებს, ხელშეწყობას როგორც კვლევითი საქმიანობაში, ისე აკადემიური სტატიებისა და ნაშრომების გამოქვეყნებაში. ვიზიტიდან გაირკვა, რომ თითოეული სტუდენტის კვლევითი საქმიანობისთვის გამოყოფილია 3000 ლარი. ამის გარდა, კვლევითი საქმიანობის ხელშესაწყობად, პროგრამას შესაძლებლობა აქვს მიიღოს დამატებითი თანხები საერთაშორისო პროექტებიდან, რომლებშიც მონაწილეობს აღნიშნული სადოქტორო პროგრამა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • მასობრივ კომუნიკაციაში სადოქტორო პროგრამის ფინანსური გეგმა • სადოქტორო პროგრამა • თვითშეფასების ანგარიში • პროგრამის ფინანსირების წესი, პროგრამის ბიუჯეტი • გასაუბრებები ფაკულტეტის/პროგრამის ადმინისტრაციასთან ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურებებს და ასევე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და მიმოხილვას. რეგულარულად ხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და გამოყენება გააზრებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხი
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სამსახურთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვაში, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და შეფასების შედეგების ანალიზში. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ეხმარება პერსონალს პროგრამის მონიტორინგში, შეფასებასა და შემდგომ განვითარებაში. უპირველეს ყოვლისა, დეპარტამენტი ადგენს კურსების რუკას, რომელიც აკავშირებს კურსების სწავლის შედეგებს პროგრამის სწავლის შედეგებთან. მეორე, დეპარტამენტი აანალიზებს დოქტორანტების მუშაობას და ადგენს კურიკულუმსა და ინდივიდუალურ კურსებში

გათვალისწინებული კომპეტენციების განვითარების ხელშემწყობ ან / და შემაფერხებელ ფაქტორებს. მესამე, დეპარტამენტი აგროვებს ინფორმაციას (სავალდებულო კითხვარების და პირისპირ შეხვედრების მეშვეობით) სტუდენტების მიერ კურიკულუმის ყველა კურსის შეფასების თაობაზე. მეოთხე, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი აგროვებს ინფორმაციას (კითხვარების გამოყენებით) კურსებითა და კვლევის კომპონენტებით, სწავლების მეთოდებითა და ლიტერატურით აკადემიური პერსონალის კმაყოფილების შესახებ. მეხუთე, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი განიხილავს პროგრამაში შემოთავაზებული ცვლილებების შესაბამისობას უმაღლესი განათლების დოკუმენტებთან და საქართველოს უნივერსიტეტის წესდებასთან. მეექვსე, დეპარტამენტი ამოწმებს სილაბუსებს და აგროვებს საუკეთესო პრაქტიკებს. ექსპერტთა ჯგუფზე შთაბეჭდილება მოახდინა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროგრამის მასშტაბმა, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის და მისი აქტივობების მაღალმა ხარისხმა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და პერსონალს აქვთ ძალიან კარგი სამუშაო ურთიერთობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • სწავლის შედეგების რუკა. • დოქტორანტთა გამოკითხვების შედეგები • პერსონალის გამოკითხვის შედეგები • გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან • გასაუბრება თვითშეფასების ჯგუფთან • პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ • გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში): ხარისხის უზრუნველყოფის მაღალი ხარისხი და თვალსაჩინო როლი პროგრამის მონიტორინგსა და განვითარებაში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში პროგრამამ, ბოლოს, აკრედიტაცია გაიარა 2014 წელს. პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით გაითვალისწინეს დაინტერესებული მხარეების (მათ შორის პოტენციური დამსაქმებლების), სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის რეკომენდაციები. კერძოდ, ლექციის ჩატარების უნარი დაემატა პროგრამის მიზნებს და სწავლის შედეგებს, შესაბამისად, შეიცვალა კურიკულუმიც. გარდა ამისა, პროგრამა ახლა უფრო მეტ ყურადღებას აქცევს კვლევის რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს, კურსი "აკადემიური წერა სამეცნიერო პუბლიკაციისთვის" გამოიკვეთა როგორც საკვანძო

სასწავლო კურსი, ხოლო კურიკულუმს დაემატა არჩევითი კურსები - გაუმჯობესება, რომელიც პასუხობს სტუდენტების განსხვავებულ წინარე გამოცდილებას და საკვლევ თემატიკას. სამეცნიერო მრჩეველთა საბჭო შექმნილია თითოეული ინდივიდუალური სტუდენტისათვის (იხ. ზემოთ). ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება პროგრამის საუმჯობესებისთვის მის მზადყოფნას, უპასუხოს ამ რეკომენდაციებს და გაითვალისწინოს ცვლილებები.
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

5.2 გარე ხარისხი
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტის პროგრამების ხარისხის გარე შეფასება მოიცავს (პოტენციურ) დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კვლევას და, ასევე გარე ექსპერტების შეფასებებს. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ეს ინსტრუმენტები ადეკვატურია და დადებითად მოქმედებს უნივერსიტეტის ხარისხის გარე უზრუნველყოფაზე, იგივე ეხება ამ პროგრამასაც. ჩამოსული საერთაშორისო მკვლევრები გასცემენ რჩევებს პროგრამისათვის. ექსპერტთა ჯგუფი აღფრთოვანებული დარჩა პროგრამის დამსაქმებლების (პოტენციური) და სხვა გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ექსპერტები უნივერსიტეტს ურჩევენ ჩამოაყალიბონ გარე მრჩეველთა საბჭო (მათ შორის პოტენციური დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და საერთაშორისო კოლეგების მონაწილეობით), რომელიც პროგრამას რეგულარულად მისცემს რჩევებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ცვლილებების განხილვისა და დამტკიცების რიგი ოქმები • თვითშეფასების ანგარიში • უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუ • გასაუბრება თვითშეფასების ჯგუფთან • პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ • გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: ექსპერტები უნივერსიტეტს ურჩევენ, ჩამოაყალიბონ გარე მრჩეველთა საბჭო (მათ შორის პოტენციური დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და საერთაშორისო კოლეგების

მონაწილეობით), რომელიც პროგრამას რეგულარულად მისცემს რჩევებს.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) პროგრამა ბოლოს აკრედიტაცია გაიარა 2014 წელს. პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით გაითვალისწინეს დაინტერესებული მხარეების (მათ შორის პოტენციური დამსაქმებლების), სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის რეკომენდაციები. კერძოდ, ლექციის ჩატარების უნარი დაემატა პროგრამის მიზნებს და სწავლის შედეგებს, შესაბამისად, შეიცვალა კურიკულუმიც. გარდა ამისა, პროგრამა ახლა უფრო მეტ ყურადღებას აქცევს კვლევის რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს, კურსი "აკადემიური წერა სამეცნიერო პუბლიკაციისთვის" გამოიკვეთა როგორც საკვანძო სასწავლო კურსი, ხოლო კურიკულუმს დაემატა არჩევითი კურსები - გაუმჯობესება, რომელიც პასუხობს სტუდენტების განსხვავებულ წინარე გამოცდილებას და საკვლევ თემატიკას. სამეცნიერო მრჩეველთა საბჭო შექმნილია თითოეული ინდივიდუალური სტუდენტისათვის (იხ. ზემოთ). ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება პროგრამის გაუმჯობესებისთვის მზადყოფნას, უპასუხოს ამ რეკომენდაციებს და გაითვალისწინოს ცვლილებები, რათა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს.
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატური შეგროვებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შეიმუშავა პროგრამის ყველა შესაბამისი ასპექტის მონიტორინგის, შემოთავაზებული ცვლილებებისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის პროცედურები და საშუალებები. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა ხორციელდება რეგულარულად, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატურად მოგროვებისა და ანალიზის მეშვეობით. პროგრამაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები). ამ შეფასების შედეგები გაგვიზიარეს ადგილზე (მაგალითად, მენეჯმენტს, პერსონალს, სტუდენტებს) და განხორციელდა აუცილებელი ცვლილებები. პროგრამაში

ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებები მოიცავს კურიკულუმის მოდიფიკაციას (ახალი კურსები, არჩევითი კურსების შემოღება) და სამეცნიერო მრჩეველთა საბჭოს შექმნას.

ექსპერტთა ჯგუფზე შთაბეჭდილება მოახდინა ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამის მასშტაბმა, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის და მისი საქმიანობის მაღალმა ხარისხმა. ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება პროგრამის გაუმჯობესებისთვის მზადყოფნას, უპასუხოს ამ შეფასების რეკომენდაციებს და გაითვალისწინოს შესაბამისი ცვლილებები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და პერსონალს აქვთ ძალიან კარგი სამუშაო ურთიერთობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან
- გასაუბრება თვითშეფასების ჯგუფთან
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან
- გასაუბრება სტუდენტებთან
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან
- სწავლის შედეგების რუკა.
- დოქტორანტთა გამოკითხვების შედეგები
- პერსონალის გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

რამდენადაც პროგრამის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი საქართველოში კომუნიკაციის სფეროს განვითარებაა, უნდა გაძლიერდეს და ოფიციალური სახე მიეცეს თანამშრომლობას სოციალურ პარტნიორებთან. ექსპერტთა ჯგუფი გაკვირვებული დარჩა იმით, თუ რამდენად არიან ჩართულნი პროგრამაში პრაქტიკოსები და პოტენციური დამსაქმებლები. ექსპერტები უნივერსიტეტს ურჩევენ ჩამოაყალიბონ გარე მრჩეველთა საბჭო (მათ შორის პოტენციური დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და საერთაშორისო კოლეგების მონაწილეობით), რომელიც პროგრამას რეგულარულად მისცემს რჩევებს, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის სტრატეგიული მიზნების და მიმართულებების დასახვას. ამან შეიძლება ჩაუყაროს საფუძველი შემდგომი თანამშრომლობის, მაგ.: საერთო ინტერესების სფეროში კვლევების განვითარების, ახალ შესაძლებლობებს.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

პროგრამამ ბოლოს აკრედიტაცია გაიარა 2014 წელს. პროგრამის შემდგომი განვითარების

მიზნით გაითვალისწინეს დაინტერესებული მხარეების (მათ შორის პოტენციური დამსაქმებლების), სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის რეკომენდაციები. კერძოდ, ლექციის ჩატარების უნარი დაემატა პროგრამის მიზნებს და სწავლის შედეგებს, შესაბამისად, შეიცვალა კურიკულუმიც. გარდა ამისა, პროგრამა ახლა უფრო მეტ ყურადღებას აქცევს კვლევის რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს, კურსი "აკადემიური წერა სამეცნიერო პუბლიკაციისთვის" გამოიკვეთა, როგორც საკვანძო სასწავლო კურსი, ხოლო კურიკულუმს დაემატა არჩევითი კურსები - გაუმჯობესება, რომელიც პასუხობს სტუდენტების განსხვავებულ წინარე გამოცდილებას და კვლევით თემატიკას. სამეცნიერო მრჩეველთა საბჭო შეიქმნა თითოეული ინდივიდუალური სტუდენტისათვის. ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება პროგრამის გაუმჯობესებისთვის მზადყოფნას, უპასუხოს ამ რეკომენდაციებს და გაითვალისწინოს ცვლილებები.
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სადოქტორო პროგრამა მასობრივ კომუნიკაციაში

ანგარიშის გვერდების რაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და მიღწევადია; ისინი შესაბამისობაშია უსდ-ს მისიასთან და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება	X			
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

პროფ. პეტერ ნეიენსი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

პროფ. ხათუნა კაჭარავა

ქ-ნი ნანა ფირცხელანი